საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალდაბა

ახალდაბა, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ზემო ხოდაშნის თემში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე, მდ. ხოდაშნისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 760 მ, ახმეტიდან 20 კმ. 11 მცხ. (2014).

1948 ა-ში, ღვთაების ეკლესიის მახლობლად, შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს. მდიდრული სამარხი, რ-ის მასალა (კამეათი შემკული ოქროს მედალიონი, ასეთივე მედალიონიდან ამოგდებული კამეა, ოქროს საკიდი, ოქროს მძივ-მილაკები, პართიის მეფის ოროდე I-ის ძვ. წ. 57–37 დრაქმა, ვერცხლის თასის, ბრინჯაოს სურისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები) დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში. ა-ის სამარხის ოქროს ნივთების ნაწილი არმაზისხევის პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილი ოქროს სამკაულის მსგავსია. ა-ის მდიდრული სამარხეული კომპლექსი მიჩნეულია ადგილ. ხევისთავის კუთვნილებად (ტ. ჩუბინიშვილი).

ა-ის მახლობლადაა საჩინოს ეკლესია.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, [წგ.] 3, თბ., 1961; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ.,1966.

რ. რამიშვილი